GE Z-7(1,97)

Standarti msop'lio istoriasi / Sak'art'velos ganat'lebis saministro, I. Gogebašvilis saxelobis pedagogikur mec'nierebat'a erovnuli instituti. - [T'bilisi], 1997. - [31] S. - (Saxelmcipo saganmanat'leblo)

Einheitssacht.: Lehrplan <Sak'art'velos Respublika> / Weltgeschichte / 1997

Deutsche Titelfassung: Muster für ein Lehrplan Weltgeschichte (Staatlicher Entwurf)

2000/187

საქართველოს განათლების სამინისტრო
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნული ინსტიტუტი

სახელმწიფო საგანმანათლებლო

სტანდარტი მსოფლიო ისტორიაში

Standards in World History
authors: Tsira Chikvaidze, Tamaz Nikolaishvili

1997 წელი

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek-
2000/187

მსოფლიო ისტორიის სტანდარტი შემუშავებულია განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ცნობილია, რომ კანონით სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი სკოლის „... საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლიობის საფუძველზე ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურეების მიხედვით და მოსწავლეთა მიღრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს“ (მუხლი 6). ამ ჩამონათვალიდან ეს სტანდარტი განსაზღვრავს სწავლების შინაარსის სავალდებულო მინიმუმს.

შემდგენლებილები: *თამაზ ნიკოლაიშვილი*
ცირა ჩიკვაიძე
რედაქტორი: *ცირა ჩიკვაიძე*
რეცენზენტები: *კოტე ანთაძე*
ნაირა მამუკელაშვილი

Gt
Z-7
(11 97)

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი

სტანდარტის მნიშვნელობა

ჩვენი ქვეყნის მომავალი ბევრადაა დამოკიდებული განათლებაზე, მოზარდი ახალგაზრდობის მორალურ და ინტელექტუალურ დონეზე. სწორედ ამიტომ განათლების პროცესი უნდა წარიმართოს სახელმწიფო მოთხოვნების სტანდარტების შესაბამისად. პიროვნების ფორმირება ძირითადად სკოლაში ხდება, რის გამოც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჰუმანიტარული პროფილის საგნებს, განსაკუთრებით ისტორიის სწავლებას.

წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარჩვევების ის აუცილებელი დონე, რომელიც უწყვეტ სასწავლო პროცესში წარმოადგენს გარკვეულ სახელმწიფო დაკვეთას.

მსოფლიო ისტორიის სტანდარტის დანიშნულება

სტანდარტის დანიშნულებაა საქართველოში ისტორიული განათლების უკეთ გაზრება და მისი სწავლების ხარისხის ამაღლება. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია მსოფლიო ისტორიის სწავლების სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელი ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც სავალდებულოდ უნდა იყოს მიჩნეული ნებისმიერი ტიპის სკოლისათვის.

სტანდარტი არ ზღუდავს პედაგოგთა პროფესიულ, შემოქმედებით თავისუფლებას. ისტორიული მასალის შინაარსის გადმოცემისას, სწავლების პროცესში მიზანშეწონილადაა მიაჩნეული იმ მეთოდებისა და ხერხების გამოყენება, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან ახალგაზრდობის ჯანსაღ ფსიქოლოგიურ და მორალურ განვითარებას.

აქედან გამომდინარე სხვადასხვა ტიპისა და პროფილის სასწავლებლებს, საკუთარი მიზნებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და დადგენილ სტანდარტზე დაყრდნობით, შეუძლიათ საპროგრამო მასალის საკუთარი ვარიანტების შემუშავება, მათი მიზანმიმართული გართულება და ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა.

საგანმანათლებლო სფეროს დახასიათება

ისტორია, როგორც სასწავლო საგანი

ისტორია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესს უძველესი დროიდან დღემდე მისი კონკრეტულობითა და მრავალფეროვნებით. მისი ამოცანაა - წარსულისა და აწმყოს შესწავლის საფუძველზე შეიცნოს მომავლის პერსპექტივები.

ისტორიულმა მეცნიერებამ საუკუნეების განმავლობაში შეისისხლხორცა ადამიანის მრავალი თაობის გამოცდილება, დააგროვა ცოდნა, ჩამოაყალიბა მის წინაშე მდგომი ამოცანების უფრო ღრმა გაგება და შეიმუშავა ისტორიული წყაროების კვლევის მკაც- რი მეთოდები. ამ ელემენტების შერწყმას მოჰყვა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ისტორიული მეცნიერებისა და ისტორიული განათლების თვისობრივად ახალი ეტაპის დაწყება.

XIX საუკუნეში ისტორიის სწავლება, როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სასკოლო სწავლების სავალდებულო პროგრამებში შევიდა.

ისტორიული მეცნიერება საოცრად მგრძნობიარეა ყველა საზოგადოებრივი მოვლენისადმი, ზედმიწევნით აქტიურია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, არის საზოგადოების გონებისა და გრძნობების თავისებური აღმზრდელი, ზოგადსაკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომლის გარეშეც ადამიანის განათლება სრულყოფილად ვერ მიიჩნევა.

საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის მიერ განხორციელებული ძალმომრეობა ისტორიული მეცნიერებისადმი, ისტორიული პროცესებისა და ფაქტების დოგმატური განხილვა და ხშირად გაყალბება, სასკოლო ისტორიული განათლების დარბევა და თანამედროვე, გარდამავალ პერიოდში შექმნილი უმძიმესი ვითარება, იმავდროულად მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე პასუხის გაცემის აუცილებლობა ისტორიის სწავ- ლებას სკოლაში აურაცხელ სიძნელეებს უქმნის.

პროლოგომენის შეცვლის აუცილებლობა

საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის პირობებში ისტორიის სასკოლო სწავლება შეადგენდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს იდეური უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. ისტორიულ დისციპლინებს უნდა დაერწმუნებინა მოსწავლე ახალგაზრდობა საბჭოთა ექსპერიმენტის სისწორეში. ისტორიის სასკოლო დისციპლინები, მათი შინაარსი და მიმართულება, ისტორიის სწავლების მეთოდები და ხერხები, საგნის პროგრამები და სახელმძღვანელოები საბჭოთა სკოლაში იცვლებოდა სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შესაბამისად. ისტორიულ

დისციპლინათა შინაარსი და სწავლების ფორმები დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ელიტის გუნება-განწყობილებაზე და უმეტესწილად მისი სუბიექტური შეხედულებების ინტერესებს ემსახურე- ბოდა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ვითარებას.

ისტორიის სასკოლო დისციპლინებისადმი კომპარტიის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა უტილიტარულმა დამოკიდებულებამ განაპირობა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის მონოპოლიზება. საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე არსებულ ყველა საშუალო სკოლაში ცალკეულ ისტორიულ დისციპლინებში სწავლება მოსკოვში, რუსულ ენაზე დაწერილი და საკავშირო სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით მიმდინარეობდა. ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, სავალდებულო იყო, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, ამ პროგრამებისა და სახელმძღვანელოების თარგმნა მშობლიურ ენაზე და მათი გამოყენება სწავლების პროცესში. გამონაკლისს წარმოადგენდა 40-იანი წლებიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მშობლიურ ენაზე შექმნილი პროგრამები და სახელმძღვანელოები.

ისტორიის საბჭოური პერიოდის სახელმძღვანელოები იგებოდა კლასთა ბრძოლისა და საზოგადოების ფორმაციული განვითარების მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე. ავტორები იძულებულნი იყვნენ, გადაეტვირთათ სახელმძღვანელოები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დოგმატური დასკვნებითა და დებულებებით, კატეგორიული მსჯ ელობებითა და შეფასებებით, გამოევლინათ ერთმნიშვნელოვანი, სწორხაზოვანი დამოკიდებულება წინააღმდეგობით აღსავსე ისტორიული პროცესებისადმი, გაყალბებულად წინ წამოეწიათ კლასობრივი ბრძოლისა და ფორმაციების საკითხები. ფაქტებისა და მოვლენების ლოგიკური თანამიმდევრობით, ობიექტურად გადმოცემის ნაცვლად, საბჭოთა სახელმძღვანელოებში ჭარბობდა მზამზარეული კონსტატაციები. ყოველივე ეს ამუხრუჭებდა მოსწავლეთა შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას და მიზნად ისახავდა ფალსიფიცირებული ინფორმაციის უკრიტიკოდ მიღებას.

ასეთი სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, ვეღარ მოემსახურება თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბების საქმეს, ამიტომ, საზოგადოების განვითარების ფორმაციულ სისტემასა და კლასთა ბრძოლის საფუძ- ველზე აგებული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით გაჯერებული ისტორიის სას- კოლო სახელმძღვანელოები ვეღარ აკმაყოფილებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოთხოვნებს. საჭირო შეიქნა ისტორიის სახელმძღვანელოებისა და პროგრამების პრინ- ციპულად ახალ საწყისზე აგება.

გლობალური ხასიათის ძვრებმა და ცვლილებებმა, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა საბჭოთა კავშირში, დიდი გავლენა მოახდინა განათლების სფეროზეც. საბჭოთა კავშირის მოსპობამ საქართველოს საშუალება მისცა კარდინალურად გადაესინჯა ისტორიის სასკოლო სწავლების საკითხები, ახლებურად გაეაზრებინა ისტორიულ დისციპლინათა სწავლების პრინციპები და დაენერგა ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელოები.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირეული მანკიერი დებულებების დაძლევის აუცილებლობა

საქართველოს სკოლაში ისტორიის სწავლების პროლოგომენის შეცვლა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ძირეული დებულებების დაძლევის გარეშე შეუძლებელია, რადგან:

> საბჭოთა ისტორიოგრაფია კერძო საკუთრებას დიდ უბედურებად მიიჩნევდა, თუმცა საკითხის ამგვარად დაყენება თვით საბჭოთა კავშირისათვის დიდ უბედურებად შემობრუნდა;
>
> საბჭოთა ისტორიოგრაფია ნეგატიურად ეკიდებოდა თავისუფალ მეწარმეობასა და საბაზო ეკონომიკას და აიდეალებდა სახელმწიფოს ხელმძღვანელობით მეურნეობის გეგმიურ განვითარებას, რამაც კატასტროფამდე მიიყვანა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა;
>
> საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაცამტვერებული იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიად მონათლული ახალი ეპოქის დემოკრატიული მიღწევები, რომლებიც არარაობად იყო წარმოდგენილი საბჭოთა სახელმწიფოში დამყარებულ ე.წ. სოციალისტურ დემოკრატიასთან (სინამდვილეში-ტოტალურ რეჟიმთან) შედარებით. სოციალისტური დემოკრატია კი სიცოცხლისუუნარო აღმოჩნდა და თავადვე დაინგრა.

სკოლაში ისტორიის განახლებული სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს კერძო საკუთრების, თავისუფალი მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე დაფუძნებული დემოკრატიული პრინციპების გაფართოებისა და სრულყოფის საკითხებს, დემოკრატიის სწავლებას. რა თქმა უნდა, დაუშვებელია ისტორიის შელამაზება. ისტორიული ფაქტები, მოვლენები და პროცესები მთელ მათ მრავალფეროვნებაში უნდა იყოს წარმოდგენილი.

იმავდროულად, აუცილებელია სკოლაში ისტორიის სწავლებისას მიეთითოს იმ უარყოფით მხარეებზე, რომლებიც გააჩნია კერძო საკუთრებას, თავისუფალ მეწარმეობასა და საბაზრო ეკონომიკას, მეტადრე მათი ფორმირების პროცესში, სანამ ჩამოყალიბდება მატერიალურად ძლიერი და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე საშუალო ფენა, რომელიც შეადგენს განვითარებული საზოგადოების მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას.

ყველა ეს დებულება არ უნდა იყოს დოგმა და მოსწავლეები თავად უნდა მივიდნენ მოვლენებისა და პროცესების ობიექტურ გაგებამდე.

ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები

საბჭოთა სკოლაში ისტორიული დისციპლინების სწავლებისათვის დამახასიათებელი სიმახინჯეებისა და ნაკლოვანებების გაცნობიერების შემდეგ, აუცილებელია იმ ძირითადი დებულებების განსაზღვრა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს, ისტორიის ძველი სახელმძღვანელოებისაგან რადიკალურად განსხვავებული, ახალი სახელმძღვანელოები.

ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში :

სასწავლო მასალა უნდა განიტვირთოს მზამზარეული დასკვნებისა და დებულებებისაგან, განხორციელდეს მისი ჰუმანიზაცია, გაადამიანურება; სასწავლო მასალამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას; ისტორიული მოვლენები და პროცესები გადმოიცეს ცოცხალი ადამიანების, კონკრეტული ისტორიული პროცესების ჩვენებასთან მჭიდრო კავშირში, ყოველი ქვეყნის ისტორიის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იქნას ერის ფსიქოლოგია მოცემულ ეპოქაში;

სასწავლო მასალის გადმოცემა უნდა დაექვემდებაროს ისტორიული განვითარების პროცესის ობიექტური, რეალური სურათის ასახვას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, წარსული თუ მიმდინარე პროცესებისადმი, საკუთარი, დამოუკიდებელი პოზიციის გამომუშავებას. ამავე დროს, მოსწავლეებს უნდა განუვითარდეს ტოლერანტობა, შემწყნარებლური დამოკიდებულება სხვათა შეხედულებების მიმართ;

შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს საზოგადოების ყველა სფერო, მათ შორის სათანადო ადგილი დაეთმოს ცივილიზაციების ისტორიას;

აუცილებელია სახელმძღვანელოები აღიჭურვოს სრულყოფილი საორიენტაციო-მეთოდური აპარატით, რათა მოსწავლეები გაერკვნენ სახელმძღვანელოს სტუქტურაში, არ გაუჭირდეთ მასზე დამოუკიდებელი მუშაობა; კითხვები და დავალებები, წყაროები და სხვა დანართები უნდა ემსახურებოდნენ ძირითადი ტექსტის ათვისებასა და განმტკიცებას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ფორმირებას;

მდიდარი საილუსტრაციო და დამატებითი საინფორმაციო მასალა არა მარტო უნდა „აცოცხლებდეს" სასწავლო ტექსტს, არამედ ილუსტრაციებს, დამატებით საინფორმაციო მასალასა და ტექსტის ძირითად შინაარსს შორის უნდა არსებობდეს სისხლხორცეული კავშირი;

პოსტსაბჭოურ პერიოდში სახელმძღვანელოებმა ხელი უნდა შეუწყონ მასწავლებელთა ცოდნის განვითარებას;

სახელმძღვანელოების შექმნისას მათი ავტორები უნდა ეყრდნობოდნენ სტანდარტს და პროგრამას, იმ იდეებსა და მითითებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია

სტანდარტსა და პროგრამაში. კონკრეტულად როგორ იქნეს გადმოცემული ეს იდეები და დებულებები, როგორ უნდა მოხდეს მათი განვითარება, როგორ იყოს ეს იდეები და დებულებები დაყვანილი მოსწავლეებამდე, როგორ შეეწყოს ხელი ფაქტობრივი ცოდნის მიღებასა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ეს არის უშუალოდ სახელმძღვანელოს ავტორთა კონკრეტული საქმე. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება კონკურსის წესით სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევა და დამტკიცება.

სკოლაში ისტორიის სწავლების სრულყოფა

სკოლაში ისტორიის სწავლების სრულყოფისათვის აუცილებელია:

ყველა კლასისათვის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების შექმნა;

უმაღლესი სკოლის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, რათა სკოლის მასწავლებელს საშუალება ჰქონდეს გაიღრმავოს თავისი ცოდნა, გამოიყენოს იგი გაკვეთილების ჩასატარებლად;

სკოლაში ისტორიის სწავლების მეთოდიკის ზოგადი სახელმძღვანელოსა და ისტორიის ცალკეული დისციპლინების სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოების დაწერა და გამოცემა;

კრებულების (კითხვებისა და დავალებების, ტესტების და ა.შ.) შედგენა, რომელთა მეშვეობით მასწავლებელი შესძლებს ნებისმიერ მომენტში დაადგინოს მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები, შეაფასოს მისი ცოდნა;

ისტორიის სასკოლო ქრესტომათიების შედგენა;

სასკოლო ატლასების, კედლის ისტორიული რუკებისა და სურათების შექმნა;

ახალი საეკრანო საშუალებების: ვიდეოფილმების, დიაფილმების, დიაპოზიტივების, სასწავლო კინოფილმების დამზადება;

სასკოლო საისტორიო ბიბლიოთეკის შექმნა და გამდიდრება;

ისტორიის სასკოლო დისციპლინების საგანთაშორისი კავშირის დამყარება ლიტერატურასთან, გეოგრაფიასთან, ხელოვნების (მუსიკა, ხატვა) და საბუნებისმეტყველო დარგებთან, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ საგნების სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შექმნისას.

ისტორიის სწავლების ზოგადი მიზნები და შინაარსი

ისტორიის სასკოლო კურსის მიზანი

ისტორია, როგორც სასწავლო საგანი მიზნად ისახავს:

შეაიარაღოს მოსწავლეები წარსულის ცოდნით, რაც დაეხმარება მათ უკეთ გაიგონ თანამედროვე საზოგადოების თავისებურებანი და გაიაზრონ საზოგადოების შემდგომი განვითარების შესაძლო პერსპექტივები;

დაეხმაროს მოსწავლეებს გააცნობიერონ ის განსხვავებანი, რომლებიც არსებობდა სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და ასწავლოს მათი გაგება. ჩამოუყალიბოს უნარ-ჩვევები გაითავისონ ისტორიულ წარსულში არსებული ეს განსხვავებანი, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ისეთი თვისების განვითარებას, როგორიცაა ტოლერანტობა; ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური, დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა და განმტკიცება;

განუმარტოს მოსწავლეებს მთელი სირთულე ისეთი ცნებისა, როგორიცაა ისტორიული გამოცდილება და მისცეს შესაძლებლობა გააცნობიერონ თანამედროვე ცხოვრების გამოვლინების მრავალფეროვნება სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში;

ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობაში დამოუკიდებელი შეფასებების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებელი ისტორიული აზროვნების ფორმირებას.

ისტორიის სასკოლო კურსის შინაარსი

ისტორიის, როგორც სასწავლო საგნის შინაარსის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

საგანმანათლებლო ბაზის ეტაპობრივად შექმნის აუცილებლობა;

დაცული იქნეს სრული ბალანსი, თანაფარდობა ისტორიული მასალის შინაარსსა და მოსწავლეთა უნარ-ჩვევებს შორის, რადგან სკოლაში ისტორიის სწავლებისას თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც ცოდნის მიღება წარსულის შესახებ, ასევე მოსწავლეთა ისტორიული აზროვნების განვითარება;

საპროგრამო მასალა საჭიროა გამოირჩეოდეს მრავალფეროვნებით;

ახელმძღვანელოებში მასალის შერჩევისას მხედველობაშია მისაღები მოზარდის

ასაკობრივი თავისებურებანი, მისი გონებრივი განვითარების დონე და ინტერესი;

ასაკობრივი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, შერჩეული მასალა დადებით გავლენას უნდა ახდენდეს მოზარდზე; დაცულ უნდა იქნეს ემოციური ბალანსი, არ შეიძლება მოზარდის გადატვირთვა ემოციურად მძიმე მასალით.

მსოფლიო ისტორიის საგანმანათლებლო სტანდარტის სტრუქტურა

მსოფლიო ისტორიის საგანმანათლებლო სტანდარტის შინაარსი

მსოფლიო ისტორიის საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს ორ კომპონენტს:

მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ი ს მ ა ს ა ლ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი. იგი გადმოცემულია ოთხ ისტორიულ ეპოქაში: ძველი მსოფლიოს ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია და უახლესი ისტორია.

საგანმანათლებლო სტანდარტში ჩამოთვლილია მხოლოდ ის ძირითადი ისტორიული მოვლენები, ამბები, პროცესები, რომლებიც უნდა შეისწავლებოდეს სასკოლო კურსებში. მათი დაკონკრეტება ხდება პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში;

მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა ძ ი რ ი თ ა დ ი უ ნ ა რ - ჩ ვ ე ვ ე ბ ი. აქ არის ჩამონათვალი იმ უნარ-ჩვევებისა, რაც მოეთხოვება მოსწავლეს სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე.

უნარ-ჩვევების კლასიფიკაცია

უნარ-ჩვევები პირობითად გაერთიანებულია ხუთ ჯგუფში:

დ რ ო დ ა ს ი ვ რ ც ე: საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ქრონოლოგიური და კარტოგრაფიული აზროვნება, რათა შეძლონ ისტორიული მოვლენების, პროცესების დროში და სივრცეში ლოკალიზება;

მ ი ზ ე ზ ი და შ ე დ ე გ ი: ასწავლის მოსწავლეებს ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას, იმ განსხვავებებისა და მსგავსებების გაცნობიერებასა და გაგებას, რომლებიც არსებობდა სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის კაცობრიობის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე;

ისტორიის ინტერპრეტაცია: საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გააცნობიერონ იმ გზების სხვადასხვაობა, რომელთა მეშვეობით იყო და არის გადმოცემული წარსული (არა მარტო ისტორიკოსთა შეხედულებანი, არამედ წარსულის სურათის გაცოცხლების სხვა გზებიც, მაგალითად : მუზეუმი, ტელევიზია, ფილმები და ა.შ.). მისი მეშვეობით მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ წარსულის ინტერპრეტაცია შესაძლებელია განსხვავებულად, სრულიად ახალი და სხვადასხვა საშუალებებით;

ისტორიული კვლევა: მოსწავლეები შეყავს ისტორიული წყაროებისა და ისტორიის დამხმარე დისციპლინების მრავალფეროვან სამყაროში, ასწავლის მათ გამოყენებას ისტორიული თემების კვლევისას, ინფორმაციის ანალიზს, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების განხილვას მათ ისტორიულ განვითარებაში;

ორგანიზაცია და კომუნიკაცია: ასწავლის მოსწავლეებს სრულიად განსხვავებული საშუალებებით და სხვადასხვა ფორმით გამოავლინონ, გამოამჟღავნონ თავისი ცოდნა ისტორიაში.

მსოფლიო ისტორიის ციკლი

დაწყებითი და ძირითადი სკოლა

ძველი მსოფლიოს ისტორია (საკვარაუდოდ ისწავლება VI კლასში)

ისტორიული მასალის შინაარსი

მსოფლიო ისტორიის საგანი.

უძველეს ადამიანთა ცხოვრება და საქმიანობა წინარეისტორიული ხანის სხვადასხვა ეტაპზე :საქმიანობის წესი, შრომის იარაღები, მოთხოვნილებები, საცხოვრებელი, საკვები.

უძველეს ადამიანთა პირველი გაერთიანებები: ოჯახი, გვარი, ტომი, თემი, არქაული სახელმწიფო.

უძველეს ადამიანთა რწმენა-წარმოდგენები. რელიგიის, ხელოვნების, დამწერლობის წარმოშობა.

ადამიანი ძველი სამყაროს ეპოქაში. ძველი აღმოსავლეთის ხალხების, ძველი ბერძნების, ძველი რომაელების ცხოვრება: სამეურნეო საქმიანობა, ყოფა, ჩვეულებები, ცხოვრების წესი.

ქალაქების, როგორც ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრების წარმოქმნა.

ეთნიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება. საზოგადოების ხვადასხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობა ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს საზოგადოებებში, მათი ურთიერთ დამოკიდებულება.

სახელმწიფოს წარმოშობა და ჩამოყალიბება ძველ აღმოსავლეთში, ძველ საბერძნეთსა და რომში.

საშოქალაქო ცხოვრების ძირითადი მოვლენები ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკურ სახელმწიფოებში.

სოციალური მოძრაობის მიზეზები, ხასიათი და თავისებურება ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკურ სახელმწიფოებში.

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ხალხების მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენები, მითები და ლეგენდები.

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს კულტურა. დამწერლობა, ანბანი, ლიტერატურა, განათლება, სკოლები, ბიბლიოთეკები, მხატვრობა, არქიტექტურა, მუსიკა, თეატრი, მეცნიერება, სპორტი, კანონმდებლობა.

ძველი სამყაროს ხალხების ურთიერთდამოკიდებულება: კულტურული, სავაჭრო, პოლიტიკური და სამხედრო.

ქართველების ურთიერთობა უძველეს ხალხებთან.

მოსწავლეთა ძირითადი უნარ-ჩვევები

დრო და სივრცე	ა) მოვლენების თანმიმდევრულობის, ხანგრძლივობისა და სინქრონულობის დადგენა; ბ) წელთაღრიცხვის სწორი გამოყენება ისტორიაში, საუკუნის შეფარდება ათასწლეულთან, ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა; გ) იმ ფრაზების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია დროის კატეგორიებთან და დროის გადმოცემასთან, მაგალითად: ათასწლეული, საუკუნე, ათწლეული, ქრ.შ-მდე, ქრ.შ-დან, ჩვ. წ. აღ-ით, ჩვ. წ. აღ-მდე, წინარეისტორიული და ისტორიული ხანა, ანტიკური, ელინისტური, თანამედროვე; დ) მარტივი რუკებისა და რუკა-სქემების „წაკითხვა“ რუკის ლეგენდებზე დაყრდნობით, რუკაზე ისტორიული და გეოგრაფიული ობიექტების სწორი ჩვენება; ე) ისტორიული კალენდრის და კურსის ცალკეულ თემებზე ქრონოლოგიური ცხრილების შედგენა, კონტურული რუკების შევსება.
მიზეზი და შედეგი	ა) ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება; მოვლენათა არსებითი ნიშნების ამოცნობა; ბ) სხვადასხვა ისტორიულ დროს ადამიანის ცხოვრების წესში არსებული განსხვავების გაცნობიერება.
ისტორიის ინტერპრეტაცია	ა) წარსულის გადმოცემის სხვადასხვა გზებისა და საშუალებების გაცნობიერება, მაგალითად: სამუზეუმო გამოფენები, სატელევიზიო პროგრამები, სპექტაკლები.
ისტორიული კვლევა	ა) ისტორიული წყაროების მრავალფეროვნების გაცნობიერება და ისტორიის დამხმარე დისციპლინებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა; ბ) მარტივი კითხვების დასმა და მარტივ შეკითხვებზე პასუხი, მაგალითად: ინტერვიუ უფროსებთან, წყაროების შესახებ შეკითხვების დასმა.
ორგანიზაცია და კომუნიკაცია	ა) წარსულის შესახებ ცოდნის მარტივი ფორმით გადმოცემა, მაგალითად: პატარა ისტორიული ეპიზოდების მოყოლა და წერა, ტექსტის მარტივი გეგმის შედგენა, წარსულის გადმოცემა დადგმების მეშვეობით, მოდელებისა და მაკეტების დამზადება; ბ) ისტორიული ტერმინების სწორი ახსნა და გამოყენება; გ) სხვა მოსწავლეთა პასუხების კომენტირება.

ისტორიული მასალის შინაარსი

შუა საუკუნეების ისტორია (სავარაუდოდ ისწავლება VII კლასში)

ადამიანი შუა საუკუნეების ეპოქაში. მიკუთვნება კონკრეტული ერისა და სოციალური ჯგუფისადმი. სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნული ფსიქიკის გავლენა სოციალურ ჯგუფებზე, მათ ყოფა-ცხოვრებასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში.

ადამიანის სამეურნეო ცხოვრება შუა საუკუნეებში. აგრარული მეურნეობა, მიწათმფლობელობის ფორმები, სამიწათმოქმედო ურთიერთობების თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში. ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა.

დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების სამეურნეო, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული დაწინაურების მიზეზები.

ეთნიკური ჯგუფების განვითარება შუა საუკუნეებში.

სახელმწიფოებრიობის განვითარება შუა საუკუნეებში. დაქუცმაცებულობიდან - ცენტრალიზებულ სახელმწიფომდე.

შუა საუკუნეების სახელმწიფოების პოლიტიკური ისტორიის ძირითადი მომენტები. საერო და სასულიერო ძალაუფლების ურთიერთობა დასავლეთ ევროპაში, ბიზანტიაში, აზიაში.

შუა საუკუნეების სახელმწიფო, სამხედრო და კულტურის ცოდვაწეები.

მოქალაქეთა გამოსვლები, გლეხთა აჯანყებები, რელიგიური მოძრაობა, მწვალებლობა შუა საუკუნეებში.

შუა საუკუნეების ადამიანის რწმენა. ქრისტიანული ეკლესიის გაყოფა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებად. შუა საუკუნეების აღმოსავლეთის სამყაროს სულიერი საფუძველი: ისლამი (შიიტობა, სუნიტობა), კონფუცი (ჩინეთი), ბუდიზმი (ინდოეთი).

შუა საუკუნეების კულტურა.

აღორძინება.

ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება შუა საუკუნეებში: სავაჭრო, კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო.

საქართველოს ურთიერთობა გარე სამყაროსთან შუა საუკუნეებში.

მოსწავლეთა ძირითადი უნარ-ჩვევები

დრო და სივრცე

ა) მოვლენების, პროცესების შეფარდება მსოფლიო ისტორიის განსაზღვრულ პერიოდთან;
ბ) შუა საუკუნეების ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა; მოვლენების, ხალხების და პროცესების „მოთავსება“ კონკრეტულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში;
გ) იმ ფრაზების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია შესასწავლი ეპოქის დროის გადმოცემასთან, მაგალითად: შუა საუკუნეები, აღორძინება;
დ) რუკების „კითხვის“ დროს ცვლილებების გამოვლენა ცალკეული ქვეყნის ტერიტორიულ შემადგენლობაში;
ე) თემატური სინქრონული ცხრილების შედგენა.

მიზეზი და შედეგი

ა) ისტორიული მოვლენების და პროცესების მიზეზებისა და შედეგების აღწერა; ცალკეული მოვლენების არსებითი ნიშნების გამოყოფა, მათი არსის გამოვლენა;
ბ) შესასწავლი პერიოდის საზოგადოებებისა და ისტორიული მოვლენების შედარება, მათ შორის განსხვავებებისა და მსგავსებების გამოვლენა.

ისტორიის ინტერპრეტაცია

ა) სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით წარსულის ასახვისა და გადმოცემის მიზეზების ახსნა, მაგალითად: ფილმები და სატელევიზიო პროგრამები, საგნის რეპროდუქციები და რეკონსტრუქციები, ისტორიული წიგნები, ისტორიკოსთა შეხედულებები.

ისტორიული კვლევა

ა) ისტორიული წყაროებისა და ისტორიის დამხმარე დისციპლინების ელემენტარული გამოყენება, ტექსტზე, დოკუმენტზე და თვალსაჩინო მასალაზე მუშაობისას უმთავრესის გამოყოფა;
ბ) წარსულის შესახებ კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა, თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ჩაწერა, მაგალითად: საუბარი მასწავლებლებთან და ამხანაგებთან საჭირო წყაროების შესახებ, წიგნში არსებული საძიებლების (სახელთა, საგანთა) გამოყენება, მარტივი დასკვნების ჩამოყალიბება.

ორგანიზაცია და კომუნიკაცია

ა) ისტორიული მასალის გადმოცემა, მაგალითად: ისტორიულ თემაზე გამოფენებისათვის მასალის შეგროვება, ტექსტის რთული გეგმის შედგენა;
ბ) შესასწავლი ეპოქის ძირითადი ცნებების ახსნა და გამოყენება;
გ) სხვა მოსწავლეთა პასუხების ზეპირი რეცენზირება.

ისტორიული მასალის შინაარსი

ახალი ისტორია (საკარაუდოდ ისწავლება VIII კლასში)

ადამიანის როლი ახალ დროში. შრომის ხასიათის პირობების, ცხოვრების წესის, მოთხოვნილებებისა და ფასეულობების შეცვლა. პატრიარქალური ცხოვრებისა და ყოფის რღვევა და შესვლა ინდუსტრიულ სამყაროში.

ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება დასავლეთის ქვეყნებში. ცვლილებები საზოგადოების სოციალურ შემადგენლობაში: თავისუფალი მესაკუთრე, მეწარმე, მუშა, თავისუფალი გლეხი, გლეხი.

ტრადიციული საზოგადოების შენარჩუნება აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბატონყმობის, წოდებრივი, კასტური, რელიგიური დაყოფის შენარჩუნება ცალკეულ ქვეყნებში. გადასვლა მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე. ინდუსტრიული მეურნეობა დასავლეთის ქვეყნებში.

ხალხები და ეთნიკური ჯგუფები ახალ დროში. ერები. ეროვნული სახელმწიფოების შექმნა ევროპაში, ამერიკაში.

მსხვილი სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკა. კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბება.

ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოქმნის დამთავრება ევროპასა და აზიაში. შიდაპოლიტიკური გათიშულობის დაძლევა. წოდებრივი სამეფოები და აბსოლუტიზმი.

ხალხთა პოლიტიკური ცხოვრება ახალ დროში.

რეფორმაციული მოძრაობა ევროპაში და კონტრრეფორმაცია. XVI - XVIII საუკუნეების რევოლუციები. XIX საუკუნის რევოლუციები ევროპასა და ამერიკაში. პარლამენტარიზმის განვითარება, კონსტიტუციური წყობის დამკვიდრება ჩრდილო ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, მათი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვა.

გლეხთა მოძრაობა XVI - XIX საუკუნეებში. მუშათა მოძრაობის დაწყება ახალ დროში (იდეები, მიზნები, ფორმები). მუშათა პირველი გამოსვლები და ორგანიზაციები. სოციალისტური მოძღვრებები.

ევროპის ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ანტიკოლონიური გამოსვლები აზიის ქვეყნებში.

მეცნიერული აღმოჩენები და ტექნიკის განვითარება ახალ დროში. განმანათლებლობის, ჰუმანიზმის იდეების გავრცელება ევროპაში. ადამიანის წარმოდგენის შეცვლა სამყაროსა და თავის თავზე. რელიგიური შეხედულებებისა და მორალის შენარჩუნება ევროპის, აზიის, ამერიკის ხალხების მნიშვნელოვან ნაწილში.

ახალი დროის კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა.

მსოფლიო ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ახალ დროში. ომები, მათი ხასიათი და გავლენა მეომარი ქვეყნების საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაზე. საერთაშორისო კავშირები და დიპლომატია.

საქართველოს ურთიერთობა გარე სამყაროსთან ახალ დროში.

მოსწავლეთა ძირითადი უნარ-ჩვევები

დრო და სივრცე	ა) ერთი ტიპის მოვლენების და პროცესების შეფარდება; ბ) ახალი ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა; ცალკეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოვლენათა და პროცესების განვითარების გაგება; გ) იმ ფრაზების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია შესასწავლი ეპოქის დროის გადმოცემასთან მაგალითად: ახალი ისტორია, სამრეწველო რევოლუცია; დ) რუკის შინაარსის გამოყენება ისტორიული მოვლენების მიზეზების და შედეგების ანალიზის დროს; ე) ისტორიული ამბებისა და პროცესების ქრონოლოგიური და სინქრონული ცხრილების, მარტივი რუკა-სქემების შედგენა.
მიზეზი და შედეგი	ა) ისტორიული მოვლენების, პროცესების მიზეზების და შედეგების აღწერა, ანალიზი და ახსნა; ბ) შესასწავლი პერიოდის საზოგადოებების სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური დახასიათება, მათ შორის განსხვავებისა და მსგავსების გამოვლენა; მსგავსი მოვლენების და პროცესების შედარება.
ისტორიის ინტერპრეტაცია	ა) ზოგიერთი ისტორიული მოვლენისა და პროცესის განსხვავებულად გადმოცემის მიზეზების ახსნა.
ისტორიული კვლევა	ა) შედარებითი ანალიზი და შეფასება იმ ისტორიული წყაროებისა, რომლებიც ერთი და იგივე მოვლენას ახასიათებენ; ტექსტის, დოკუმენტის, თვალსაჩინო მასალის, როგორც ცოდნის წყაროს გამოყენება; ბ) ისტორიული წარსულის შესახებ პრობლემური კითხვების დასმა და მათზე პასუხი; თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, ჩაწერა და განზოგადება; საკუთარი შეხედულებების დასაბუთება იმ დასკვნებით, რომლებიც რამდენიმე წყაროს მეშვეობით მიიღება.
ორგანიზაცია და კომუნიკაცია	ა) ისტორიული მასალის განზოგადებულად ჩამოყალიბება, თემის „გამჭოლი“ საკითხების გადმოცემა, ისტორიული მოვლენების მიზეზების, მსვლელობის, შედეგების გაშლილი გეგმის შედგენა, ორიენტირება ტექსტის ძირითად კომპონენტებზე; ბ) შესასწავლი ეპოქის ძირითად ცნებათა განსაზღვრების ჩამოყალიბება და გამოყენება; გ) მოხსენების მომზადება და საჯაროდ გამოტანა, მოსწავლეთა პასუხებისა და მოხსენებების რეცენზირება.

ისტორიული მასალის შინაარსი

უახლესი ისტორია (საკვარაუდოდ ისწავლება IX კლასში)

ადამიანი XX საუკუნეში: ცხოვრება და ბოლოაწყობა დინამიური განვითარების ეპოქაში, სოციალური ძვრებისა და გარდაქმნის ეპოქაში. ცვლილებები ადამიანის სოციალურ მდგომარეობაში, ცხოვრების წესში. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების გაფართოება XX საუკუნეში. ადამიანთა შეხედულებებისა და ფასეულობების განსხვავება სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოებაში.

მატერიალური წარმოების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება. სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციები. ინდუსტრიული სამყაროს ცენტრები, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მოდერნიზაციის პრობლემები.

ერთა განვითარება, ხალხთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის XX საუკუნეში. მრავალეროვნული და კოლონიური იმპერიების რღვევა XX საუკუნეში. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნა XX საუკუნეში. ეთნო-სოციალური და ეროვნული პროცესები სხვადასხვა ქვეყნებში.

ძირითადი სოციალური ჯგუფები და ფენები ინდუსტრიულ, პოსტინდუსტრიულ და ტრადიციულ საზოგადოებებში. დაქირავებული შრომის ზრდა, სოციალური ინტერესების მრავალფეროვნება.

ეროვნული, კლასობრივი, დემოკრატიული მოძრაობის გაფართოება XX საუკუნეში. მათი ადგილი პოლიტიკურ ისტორიაში. სოციალური წინააღმდეგობებისა და კრიზისების გადაწყვეტის რეფორმისტული და რევოლუციური გზები. ლიბერალური რეფორმები და სოციალურ-რეფორმაციული გზა დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

რევოლუციური მოვლენები 1905-1919 წლებში.

სოციალისტური და ფაშისტური რეჟიმების დამკვიდრება ევროპის ქვეყნებში 1920-1930-იან წლებში. დემოკრატიზმისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგობა.

ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების განმსაზღვრელი ნიშნები 1950-ანი წლების შუა ხანებიდან 1970-იან წლებამდე; 1970-1980 წწ. საზოგადოების რეფორმირების მცდელობანი. კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრება ევროპასა და აზიის ქვეყნებში, კუბაზე.

პოლიტიკური ცხოვრება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში. პოლიტიკური სისტემები, პარტიები, ლიდერები, რეფორმიზმისა და კონსერვატიზმის პოლიტიკის ცვლა.

აფრიკისა და აზიის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, განვითარების გზების არჩევა. განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერები. ავტორიტარული, ტოტალიტარული და დემოკრატიული რეჟიმები ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

ძირითადი პოლიტიკური მოვლენები მსოფლიოში 1980-1990-იან წლებში. სოციალისტური ბანაკის, სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მისი შედეგები.

მასობრივი კულტურის ჩამოყალიბება. XX საუკუნის სოციალური რევოლუციები და კულტურა. XX საუკუნის მსოფლიო კულტურის მიმდინარეობების, სტილის, ჟანრების მრავალფეროვნება. ეროვნული კულტურების ურთიერთ ზეგავლენისა და ურთიერთ ზემოქმედების ზრდა XX საუკუნეში.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ძირითადი ტენდენციები და ეტაპები XX საუკუნეში. სამხედრო-პოლიტიკური კავშირები და ბლოკები. XX საუკუნის კონფლიქტები და ომები, მათი შედეგების გლობალიზაცია.

უახლესი დროის გარდაქმნების გავლენა საქართველოზე.

მოსწავლეთა ძირითადი უნარ-ჩვევები

დრო და სივრცე	ა) სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ერთი ტიპის მოვლენების და პროცესების სინქრონულობის დადგენა, ისტორიული მოვლენების და პროცესების დროში ლოკალიზება; ბ) უახლესი ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა, ისტორიული მოვლენების და პროცესების ეტაპების გამოყოფა და პერიოდიზაცია; გ) იმ ფრაზების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია შესასწავლი ეპოქის გადმოცემასთან, მაგალითად: „ცივი ომი“, „გარდაქმნა“ („პერესტროიკა“); დ) ნებისმიერი სასკოლო ისტორიული რუკის შინაარსის „წაკითხვა“. ისტორიული რუკის შინაარსის ანალიზით მსოფლიოს ხალხების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების შესახებ ცოდნის განზოგადება და გამოყენება.
მიზეზი და შედეგი	ა) ისტორიული მოვლენების და პროცესების მიზეზების და შედეგების გაანალიზება, განზოგადება და შეფასება; ბ) შესასწავლი პერიოდის საზოგადოებების სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური განსხვავებებისა და მსგავსებების ანალიზი; სხვადასხვა ისტორიული მოვლენების და პროცესების შედარებითი დახასიათება.
ისტორიის ინტერპრეტაცია	ა) ერთი და იგივე მოვლენასა და პროცესზე სხვადასხვა შეხედულებების არსებობისას მათი გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება.
ისტორიული კვლევა	ა) დამოუკიდებელი ორიენტირება ისტორიული წყაროების (ზეპირი, ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, წერილობითი, კინო-ფოტო მასალები და ფონოჩანაწერები) და ისტორიის დამხმარე დისციპლინების მრავალფეროვნებაში და მათი გამოყენება ისტორიული თემების დამუშავებისას; ბ) რთული კითხვების დასმა და მათზე პასუხი; თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება და კვლევისათვის გამოყენება; საფუძვლიანი დასკვნების ჩამოყალიბება.
ორგანიზაცია და კომუნიკაცია	ა) წარსულის შესახებ ცოდნის სხვადასხვა ფორმით გადმოცემა; ბ) შესასწავლი ეპოქის ძირითადი ცნებების გამოყენება, ისტორიული თემების წამყვანი იდეების ჩამოყალიბება; გ) მონაწილეობა სასკოლო დისკუსიებში, კონფერენციებში.

საშუალო სკოლა

პრაპუმანიტარული პროფილის სკოლა

X - XI კლასები

ისტორიული მასალის შინაარს

მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია
ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ცივილიზაციები;
შუა საუკუნეების ცივილიზაციები;
ახალი დროის ცივილიზაციები;
უახლესი დროის ცივილიზაციები.

მსოფლიო XX საუკუნის მეორე ნახევარში
XX საუკუნის გლობალური პრობლემები;
XX საუკუნე - ცვლილებების საუკუნე;
ინტეგრაციული პროცესები.

მოსწავლეთა ძირითადი უნარ-ჩვევები

დრო და სივრცე	ა) ისტორიული პერიოდიზაციის ცოდნის საფუძველზე ისტორიული მოვლენების, პროცესების შეფარდება პერიოდთან, ეპოქასთან; ბ) მსოფლიო რუკაზე ცივილიზაციების კერების ლოკალიზება, მათი სივრცობრივი გაფართოების მიმართულებების აღნიშვნა.
მიზეზი და შედეგი	ა) წყაროების მრავალმხრივი შესწავლისა და ისტორიული ცოდნის გამოყენების საფუძველზე ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის, კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებში არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა.
ისტორიის ინტერპრეტაცია	ა) ისტორიის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის ანალიზი.
ისტორიული კვლევა	ა) კვლევისათვის საჭირო მასალის დამოუკიდებლად მოპოვება და სათანადო დამუშავება.
ორგანიზაცია და კომუნიკაცია	ა) პროგრამის „გამჭოლი“ საკითხების გადმოცემა; ბ) სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

ისტორიული მასალის შინაარსი

მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ცივილიზაციები

ცივილიზაცია. ცივილიზაციის სტადიური (ეტაპობრივი) განვითარებისა და ლოკალური ცივილიზაციების თეორიები.

კაცობრიობა წინარეისტორიული ხანიდან ცივილიზაციისაკენ.

მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების კერები.

ცივილიზაციის სივრცობრივი გაფართოება.

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ცივილიზაციების სახელმწიფოებრიობის ფორმა-დესპოტია, ძველი ბერძნული პოლისი, რომის რესპუბლიკა და იმპერია. ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება და მისი ფუნქციები ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში.

ადამიანი ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ცივილიზაციებში.

მოსახლეობის ჯგუფები ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს სახელმწიფოებში: თავისუფალნი და არათავისუფალნი, სრულუფლებიანნი და არასრულუფლებიანნი.

ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების საზოგადოება იერარქიული საზოგადოებაა, საზოგადოების სტრუქტურა: მეფე, წარჩინებულნი, მოხელეები, მეომრები, ვაჭრები, ხელოსნები, თავისუფალი მეთემე-გლეხები, მონები.

ანტიკური სამყაროს ცივილიზაციების საზოგადოების სტრუქტურა: დემოსი, წარჩინებულნი, პატრიციები, პლებეები.

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები.

მითიდან-ხსნის რელიგიებისაკენ (ბუდიზმი, კონფუციანელობა, იუდაიზმი, ზოროასტრიზმი, ქრისტიანობა). რელიგიის როლი უძველესი ცივილიზაციების

საზოგადოებაში.

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ცივილიზაციების კულტურა და მისი წარმომადგენლები. ანტიკური ცივილიზაციის გავრცელება ელინიზმის ეპოქაში.

ქართველები და უძველესი ცივილიზაციები.

შუა საუკუნეების ცივილიზაციები

მიგრაციული პროცესები.

დემოგრაფიული აფეთქებები.

რელიგიების როლი შუა საუკუნეების ცივილიზაციების ჩამოყალიბებაში.

ქრისტიანული ცივილიზაცია (კათოლიკობა და მართლმადიდებლობა).

მაჰმადიანური ცივილიზაცია (შიიტობა და სუნიტობა).

ბუდისტური ცივილიზაცია.

კონფუციანური ცივილიზაცია.

იუდაიზმი.

სომეხ-გრიგორიანელობა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა შუა საუკუნეებში.

საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეები შუა საუკუნეებში.

შუა საუკუნეების სახელმწიფო მმართველობის ფორმები: დესპოტია, მონარქია, წოდებრივი მონარქია, რესპუბლიკა.

ადამიანი შუა საუკუნეების ცივილიზაციებში.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი.

შუა საუკუნეების ცივილიზაციების მატერიალური წარმოების ხასიათი და განვითარების ტემპები.

შუა საუკუნეების სოფლის მეურნეობა.

შუა საუკუნეების ვაჭრობა.

შუა საუკუნეების ხელოსნობა.

ქალაქები შუა საუკუნეებში.

შუა საუკუნეების ცივილიზაციების საზოგადოების წოდებრივი და კასტური სტრუქტურა.

შუა საუკუნეების კულტურა და მისი წარმომადგენლები.

მეცნიერების, განათლების, ტექნიკის და სამხედრო ხელოვნების განვითარება შუა საუკუნეებში.

საქართველოს ადგილი მსოფლიო ცივილიზაციების ისტორიაში შუა საუკუ- ნეებში.

ახალი დროის ცივილიზაციები

ევროპოცენტრიზმის წარმოშობის მიზეზები, არსი და გავლენა კაცობრიობის ისტორიაზე.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროისათვის სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის, წყნარი ოკეანის კუნძულების, ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული, პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო განვითარების დონე.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების გავლენა ევროპულ ქვეყნებზე.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების გავლენა აფრიკის, აზიის, ავსტრალიის, წყნარი ოკეანის კუნძულების და ამერიკის მოსახლეობაზე.

მსოფლიო ისტორიის გლობალური ხასიათის მიღების გავლენა კაცობრიობის განვითარებაზე.

ეკლესიისა და რელიგიის როლი ახალი დროის ცივილიზაციების ცხოვრებაში.

ევროპული აბსოლუტიზმი.

ახალი დროის სახელმწიფო მმართველობის ფორმები: წოდებრივი და აბსოლუ- ტური მონარქია, დესპოტია, რესპუბლიკა.

მრავალეროვნული და ეროვნული სახელმწიფოები.

მმართველობის კონსტიტუციური ფორმა. პარლამენტარიზმი.

განმანათლებლობა.

ადამიანი ახალი დროის ცივილიზაციებში.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი.

ახალი სოციალური ფენების გაჩენა დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში.

საზოგადოების წოდებრივი, კასტური, რელიგიური, რასობრივი ფაქტორები ახალი დროის ცივილიზაციებში.

ახალი დროის ცივილიზაციების მატერიალური წარმოების ხასიათი და განვითარების ტემპები.

ახალი ტენდენციები ევროპული ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაში.

სამრეწველო გადატრიალება და მისი ეტაპები.

ტრადიციული აგრარული ურთიერთობების შენარჩუნება მთელ რიგ რეგიონებში (ინდოეთი, ჩინეთი, აფრიკა, ლათინური ამერიკა).

ურბანიზაცია. ქალაქები ახალ დროში.

კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები და მათი ქმნილებები.

უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო აღმოჩენები და მათი გავლენა ტექნიკურ პროგრესზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება.

ცოდნის გაფართოება სამყაროსა და ადამიანზე.

ინდივიდუალიზმი.

ახალი დროის ცივილიზაციების ურთიერთობა: საგარეო პოლიტიკა, დიპლომატია, ომები.

ცვლილებები საერთაშორისო დიპლომატიურ და საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში.

საქართველოს ადგილი მსოფლიო ცივილიზაციების ისტორიაში ახალ დროში.

უახლესი დროის ცივილიზაციები

დიდი სახელმწიფოები, მათი როლი მსოფლიო ისტორიაში.

ევროპის მცირე ქვეყნები.

კოლონიური, დამოკიდებული და განვითარებადი ქვეყნები.

თავისუფალი საზოგადოების რეფორმირების მიმართულებები.

დამოუკიდებელი ქვეყნების რიცხვის ზრდა.

პოლიტიკური ისტორიის ძირითადი მომენტები.

სახელმწიფო მოღვაწეები.

ადამიანი თანამედროვე ეპოქაში.

ადამიანის სოციალური როლის შეცვლა ინდუსტრიულ და ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ყოფა-ცხოვრება სხვადასხვა ცივილიზაციებში.

სხვადასხვა ცივილიზაციების მატერიალური წარმოების ხასიათი, განვითარების ტემპები თანამედროვე ეპოქაში.

საზოგადოების სტრუქტურა.

სოციალური მობრაობის ხასიათის გაფართოება.

პოლიტიკური სისტემებისა და რეჟიმების მრავალფეროვნება.

სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი.

თანამედროვე ეპოქის კულტურის მრავალფეროვნება.

თანამედროვე ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მომენტები.

თანამედროვე ეპოქის რეგიონალური კონფლიქტები და ომები.

თანამედროვე ეპოქის წინააღმდეგობრივი ხასიათის ზემოქმედება საქართველოზე.

მსოფლიო XX საუკუნის მეორე ნახევარში

XX საუკუნის გლობალური პრობლემები

ტერორიზმი.

სეპარატიზმი.

მესამე სამყაროს სილატაკე-

გარემოს დაბინძურება.

სათბურის ეფექტი.

ენერგია.

ბირთვული შეიარაღება.

ცხელი წერტილები.

XX საუკუნე - ცვლილებების საუკუნე

უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო აღმოჩენები.

ადამიანისა და საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებების განვითარება.

ტექნიკა და ყოფა.

ქალი და მისი როლი XX საუკუნეში.

კომუნიკაციის საშუალებების განვითარება.

ინტეგრაციული პროცესები

საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ევროპის კავშირი).

საერთაშორისო თანამშრომლობა.

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -

ჰუმანიტარული პროფილის სკოლა

X - XII კლასები

ისტორიული მასალის შინაარსი

ისტორიის დამხმარე და სპეციალური დისციპლინები

მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია (იხ. გვ.20 - 22)

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ცივილიზაციები;

შუა საუკუნეების ცივილიზაციები;

ახალი დროის ცივილიზაციები;

უახლესი დროის ცივილიზაციები.

მსოფლიო XX საუკუნის მეორე ნახევარში (იხ. გვ.23)

XX საუკუნის გლობალური პრობლემები;

XX საუკუნე - ცვლილებების საუკუნე;

ინტეგრაციული პროცესები.

მოსწავლეთა ძირითადი უნარ-ჩვევები

დრო და სივრცე

ისტორიული პერიოდიზაციის ცოდნის საფუძველზე ისტორიული მოვლენების, პროცესების შეფარდება პერიოდთან, ეპოქასთან, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების და პროცესების სინქრონული შეპირისპირება;

ისტორიული ეპოქების ქრონოლოგიური ჩარჩოების პირობით ხასიათში გარკვევა;

ისტორიული რუკების მონაცემების შედარება და სისტემატიზაცია, მათი გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების, ისტორიული მოვლენების დახასიათებისათვის;

მარტივი ისტორიული რუკების შედგენა.

მიზეზი და შედეგი

წყაროების მრავალმხრივი შესწავლისა და ისტორიული ცოდნის გამოყენების საფუძველზე ისტორიული მოვლენების და პროცესების დამოუკიდებელი ახსნა, ანალიზი, განზოგადება, შედარება და შეფასება;

კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა საზოგადოებების სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური განსხვავებებისა და მსგავსებების ანალიზი და შეფასება.

ისტორიის ინტერპრეტაცია

ისტორიის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის ანალიზი და შეფასება.

ისტორიული კვლევა

ცოდნის სხვადასხვა წყაროს (სპეციალური და დამხმარე ლიტერატურა, ისტორიული დოკუმენტები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები) შერჩევა, მათზე დამოუკიდებელი მუშაობა და მოპოვებული მასალის ანალიზი.

ორგანიზაცია და კომუნიკაცია

პროგრამის „გამჭოლი“ საკითხების გადმოცემა არა მარტო ისტორიაში, არამედ სხვა საგნებშიც მიღებული ცოდნის გამოყენებით;

ისტორიული ტერმინების, ცნებების, წამყვანი იდეების გამოყენება;

დამოუკიდებლად მოპოვებული მასალის საფუძველზე მოხსენებების, რეფერატების შედგენა და საჯაროდ თავისი პოზიციების დაცვა; მონაწილეობა შემოქმედებით კონფერენციებში, დისპუტებში.

მსოფლიო ისტორიის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის დაწერისას გამოყენებულ იქნა:

ნაირა მამუკელაშვილის სადოქტორო დისერტაცია „ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში“;

საგანმანათლებლო სტანდარტი ქართულ ლიტერატურაში (შემდგენელი ე. გულ-დამაშვილი).

რუსეთის დროებითი სახელმწიფო სტანდარტი ისტორიაში - “Временный государственный стандарт исторического образования” (руководитель авторского коллектива Л.Н.Алексашкина).

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სტანდარტი ისტორიაში - National Standards for History (NCHS).

ინგლისის, უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიის, შოტლანდიის სტანდარტები ისტორიაში - History in the National Curriculum, Wales, Cardiff, 1995; History in the National Curriculum, England, London, 1995; Programme of Study History, Northern Ireland, 1995; Curriculum and Assessment in Scotland National Guidlines, Scotland, 1995; History in the National Curriculum. Non-Statutory Guidance for Teachers , Cardiff, 1991; Exemplification of Standards. Consistency in Teacher Assessment. History. Cardiff, 1996.